KAVKAZ CEMENT GEORGIA

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

ჩვენს მიერ, 2018 წლის 6 ნოემბრის წერილით წარმოდგენილ სკრინინგის განაცხადთან დაკავშირებით, დამატებით წარმოგიდგენთ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, 2018 წლის 9 ნოემბრის №07/23377 წერილს და ასევე ამავე სააგენტოს 2018 წლის 9 ნოემბრის №1270/ს ბრძანებას, რომელიც ეხება შპს ,,კავკაზ ცემენტ ჯორჯიასთვის" სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახურის ხაშურის სატყეო უბანში 45 589 m^2 მიწის ფართობზე სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭებას.

ამასთანავე, დამატებით გაცნობებთ, რომ როგორც სკრინინგის ანგარიშშია განხილული, საწარმო საქმიანობის პროცესში ელექტროენერგიასთან ერთად გამოიყენებს დიზელის საწვავს. საწვავის შემოტანას და მის მართვას ობიექტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს შპს ,,რომპეტროლ საქართველო", მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კერძოდ კი, კომპანია საწარმოს ტერიტორიაზე განათვასებს მცირე ზომის მიწისზედა ავზს და საწარმოს ტექნიკურ მოწყობილობებში საწვავის მიწოდება მოხდება სპეციალური ავტომატის საშუალებით. საწვავის ავტომატის განთავსების ადგილი იქნება მოშანდაკებული და სპეციალურად გადახურული, რათა არ მოხდეს სანიაღვრე წყლების მოხვედრა უბანზე. მიღებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები ავარიული დაღვრის თავიდან აცილების მიზნით. საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება სპეციალური ურნები, რომელიც განკუთვნილი იქნება სახიფათო ნარჩენებისთვის და მათ შორის საწვავით დაბინძურებული ნიადაგისა და თხევადი მასალებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სახიფათო ნარჩენები ობიექტის ტერიტორიიდან გატანილი იქნება

№ 14709
14" 11 2018
2 ფ.
02

სპეციალური ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ მათთან წინასწარ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

ასევე, როგორც სკრინინგის დოკუმენტშია წარმოდგენილი, საწარმო და მისი დამხმარე ნაგებობები (ოფისი, ბუნებრივი რესურსის მიღების და განთავსების უბნები და სხვა) განთავსდება მიწის მინაკუთვნის ფართობში (1.6ჰა), რომლის GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	381387	4654603
2	381269	4654600
3	381230	4654560
4	381202	4654564
5	381194	4654505
6	381196	4654491
7	381203	4654482
8	381250	4654464
9	381400	4654585

ჩვენს მიერ 2018 წლის 6 ნოემბრის წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განაცხადისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას გზშ ანგარიშის საჭიროების დადგენასთან დაკავშირებით.

დანართი - 3 გვერდი

პატივისცემით

თევდორე კუხიანიძე

დირექტორი